ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და

ქვეპროგრამების შესახებ

შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
კოდი 30 06
(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.**

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: **სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 06)**

პროგრამის განმახორციელებელი: **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო**

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	72 609.0	72 609.0	18 044.9	24.85%	129.3

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში 16 634 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/აფეთქებები/აფეთქების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- მთავრობის კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამსახურის თანამშრომლემა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში საველე ინფრასტრუქტურის მოწყობასა და მის ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. კერძოდ, საკარანტინო ზონაში ქალაქ მარნეულში, „ჯეო ჰოსპიტალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიშალა 100 პაციენტზე გათვლილი საველე ჰოსპიტალი. საველე ჰოსპიტალის საგანგებო შტაბის ფუნქციონირებას უზრუნველყოფდნენ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები;
- „კოვიდ-19-ით“ გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს მთავრობაში სიტუაციური ოთახის ამოქმედებასა და უწყებათშორისი ოპერატიული ცენტრის საქმიანობის უზრუნველყოფაში;
- განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის 830 ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება;
- ქვეყნის მასშტაბით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახანძრო ზედამხედველობის მიმართულრებით სამშენებლო პროექტების განხილვა და მშენებლობის შესაბამისი ნებართვების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაცემა, კერძდ მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ - 75 რეკომენდაცია, შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 300 რეკომენდაცია, არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე - 67 დასკვნა
- „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული იქნა მონაწილეობა 15 ობიექტზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების გამოცდაში;
- ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტებზე განხორციელებული საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას გამოვლენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევებზე შედგა შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 115 ოქმი, აქედან 72 გადაიგზავნა საერთო საქალაქო სასამართლო კოლეგიაში განსახილველად, ხოლო 43 განხილულ იქნა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციის და რეაგირების სამმართველოს მიერ. საკონტროლო შემოწმებისას შესაბამისობა დაუდგინდა 10 ობიექტს;
- საანგარიშო პერიოდიში სახანძრო ზედამხედველობასთან დაკავშრებულ საკითხებზე სამსახურშ გაიმართა 142 საკონსულტაციო შეხვედა;
- სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით 2019 წელს ამოქმედდა ცხელი ხაზი, რომელზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 246 ზარი;
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მართვისა და კონტროლის მხარდაჭერის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახურის სახანძრო-სამაშელო ძალების დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მთავარ სამმართველოებში შემავალი დანაყოფების სამორიგეო ნაწილებში განხორციელდა TETRA სისტემის ციფრული ქსელის რადიოსადგურების მონტაჟი და მასზე მუდმივი კვების წყაროს მიერთება. აგრეთვე, საჩხერის, ონის, ლენტეხისა და ხარაგაულის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში განაწილებულ სახანძრო ავტომანქანებში (IVECO-ASTRA) დამონტაჟდა TETRA სისტემის ციფრული ქსელის საავტომობილო რადიოსადგურები;

- სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ქ. ბორჯომის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს ახალ შენობაში მოეწყო საკომუნიკაციო ქსელი და დამონტაჟდა ციფრული რადიოკავშირის სისტემის საბაზო რადიოსადგური და უწყვეტი კვების წყარო;
- შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტში განხორციელდა TETRA ციფრული რადიოკავშირის სისტემის მონიტორინგისა და ჩამწერი მოწყობილობის მონტაჟი;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის (eFss) პილოტირება და პილოტირების რეჟიმში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. გარდა ამისა, მიმდინარეობს სისტემის ფუნქციონალის შემდგომი განვითარება პილოტირების რეჟიმში ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით;
- საანგარიშო პერიოდში ინტერაქტიული რუკაზე (maps.es.gov.ge) მოხდა საავადმყოფოების დატანა. ფილტრაციის მეშვეობით შესაძლებელია იმ საავადმყოფოების გამოყოფა სადაც მიმდინარეობს COVID 19-ით დაინფიცირებული პაციენტების მკურნალობა;
- სამსახურსა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც სამსახურს გადმოეცა ერთი ერთეული სახანძრო ავტომანქანა Renault K330 P 4x4 Medium E3;
- საანგარიშ პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს 24 სთ-იან რეჟიმში მომუშვე სამსახურის მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- წყალზე სამაშველო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 10 ერთეული ნავი;
- ნაწილობრივ განახლდა სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა (შესყიდულ იქნა სახელოები, გადამყვანები, გამაფრქვეველი ლულა და სხვა.)
- ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება. მშენებლობის დასრულება იგეგმება 2020 წლის ბოლომდე;
- 2019 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსებულ სამსახურის ობიექტზე სავარჯიშო მოედნისა და სტადიონის მოწყობა;
- გერმანიის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის DAMAST-ის ფარგლებში, სსიპ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრა ენგურჰესის გეოსაშიშროების კვლევის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით;
- საანგარიშო პერიოდში შპს ,,აჭარის წყალი ჯორჯიას" სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ პირებს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური გადაწყვეტილებების შემუშავებისა და საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საკითხებზე, გაეწიათ კონსულტაცია. შესაბამისად მათთვის მომზადდა და გადაეცათ სახელმძღვანელოდ სანიმუშო დოკუმენტები;
- სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გარდაბნის მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ საკონსულტაციო შეხვედრაში. შეხვედრაზე განხილულ იქნა გრესის „გარდაბანი-2-ის" საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საკითხები. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურად უფლებამოსილ პირებს საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაციული და ტექნიკური

გადაწყვეტილებების შემუშავებისა და საგანგებო მართვის გეგმის მომზადების საიკითხებზე, გაეწიათ კონსულტაცია;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან საკონსულტაციო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის ვალდებულებათა ფარგლებში უწყებათაშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საგანგებო მართვის უწყებრივი გეგმების შემუშავების საკითხები. მომზადდა პრეზენტაცია და სანიმუშო მასალები საგანგებო მართვის გეგმებთან დაკავშირებით. აღნიშნული მასალები გადაეცათ ელექტრონული სახით შეხვედრის მონაწილეებს;
- სამსახურის მოსამსახურემ „JICA"-ს მხარდაჭერით იაპონიაში გაიარა სამაშველო ტექნიკის შემსწავლელი ტრენერთა კურსი, რომელმაც თავის მხრივ კურსის დასრულების შემოდგომ გადაამზადა სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს 10 მეხანძრე-მაშველი;
- საანგარიშო პერიოდში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის აჭარის ა/რ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოში ვიზიტით იმყოფებოდა სამსახურის ფსიქოლოგი, რომელმაც ინდივიდუალური ფსიქოთერაპიული სესიების პარალელურად პირად შემადგენლობასთან განიხილა შემდეგი საკითხები - ფსიქოლოგიური სერვისების მნიშვნელობა და ფსიქოლოგის როლის განსაზღვრა, სტრესის გავლენა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ტრიგერების იდენტიფიცირება, ნეგატიური გამოცდილების გავლენა ქცევაზე - კოგნიტური შეცდომები, ნეგატიური გამოცდილების გადამუშავების მნიშვნელობა და სარგებელი, თავის ტვინის სამი დონე და სტრესზე რეაქციები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს:

➢ ნატოს სკოლის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვის კურსში;

➢ რუმინეთის ქ. ბუქარესტის კაროლ I-ის სახელობის ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვისა და მრავალეროვნული ოპერაციების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კრიზისების მართვის სასწავლო კურსი;

➢ დიდი ბრიტანეთის მთავრობის კომუნიკაციების ცენტრის სასწავლო პროგრამა ,,კრიზისების კომუნიკაციების'' დისტანციური კურსში;

➢ შვედეთის ლუნდის მუნიციპალიტეტი რევინის ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის სასწავლო პროგრამის ფარგლებში, გამართულ პერსონალის მართვის კურსში;

➢ აშშ-ს საერთაშორისო ვიზიტორთა ლიდერობის პროგრამით (IVLP) გათვალისწინებული პროექტში - „კატასტროფებისადმი მზადყოფნა და საგანგებო სიტუაციების მართვა";

➢ ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის ერთიანი მექანიზმის სასწავლო-პროგრამის ,,მოლაპარაკება და გადაწყვეტილების მიღების'' კურსი (CND) (ქ. სანკტ გილგენი, ავსტრია);

- საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 203 ხელშეკრულება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საიდანაც უკვე შესრულებულია 166

ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მომსახურების გაწევას როგორიცაა: სახანძრო უსაფრთხოების ზომების შემუშავება, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის ტექნიკური კონსულტაციების გაწევა და სხვადასხვა ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოების ფარგლებში უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დადგენილი წესით ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის თაობაზე;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებების მოსამზადებელი სამუშაოები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებელო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობი მატერიალური ფასეულობების ახალი ნომენკლატურის შესამუშავებლად.